ქ.თბილისი. წყალსადენის ქუჩა ს.კ 01.11.04.028.080

შ.პ.ს. „ევროთრეიდი"

სასაწყობე და საოფისე შენობის გამწვანების პროექტი



საპროექტო კომპანია

შ.პ.ს. არქა

ლანდშაფტის დიზაინერი:ირმა ქამუშაძე

განმარტებითი ბარათი

აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ქ თბილისში,წყალსადენის ქუჩაზე ს.კ 01.11.04.028.080 ტერიტორიის მესაკუთრეა შ.პ.ს „ევროთრეიდი",დირექტორი ლაშა მგალობლიშვილი პ.ნ. 01024039909

აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება სზ-1 გაპ-ის მრძანება№490660. გამწვანების კოეფიციენტი კ3=0,1

ტერიტორიის მთლიანი ფართია 335მ2

გასამწვანებელი ფართობი 336მ2.

ჩვენს მიერ შენარჩუნებულია ტერიტორიაზე არსებული 5 ხე (№1,2,3,4,5 იხ დენდროლოგიური დასკვნა) და დამატებით ვრგავთ 20 ხეს,მათ შორის 7 წიწვოვან- ჰიმალაის კედარს(Cedrus deodara) და 13 ფოთლოვან მინდვრის ცაცხვს (Acer campestre) .ასევე მოეწყობა კოინდარის გაზონი გეგმაზე ნაჩვენებ გამწვანებულ ნაწილში.

ამის გარდა შენობის ოფისის ნაწილში ტერასებზე დაგეგმილი გვაქვს ე.წ.მწვანე გადახურვის მოწყობა და აქაც დამატებით მოეწყობა კოინდარის საფარი (II სართულზე32მ2,III სართ-63.72)და დაიდგმება ქოთნით დეკორატიული მცენარეები(იხ. რენდერები),ასეთი ხერხით გვინდა ახალი პრეცენდენტი შევქმნათ ოფისის და საწყობის მწვანე გადახურვის მოწყობისა.

ხე მცენარეების დარგვადა შემდგომი მოვლა უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები,რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს გამოყენებით, ისე, რომ ხის კომი 5 – 10 სმ–ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
6. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
7. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
8. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
9. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღეროს ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
10. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება; 11.ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
12. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;
13. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან 5 წლის განმავლობაში;
14. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
15. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK)შეტანა და მორწყვა;
16. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
17. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
18. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური)სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
19. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ –დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
20. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

ტერიტორიაზე გამწვანებისთვის განკუთვნილ ნაწილში დაირგვება საქართველოში მეტად გავრცელებული ხე მცენარეები, რომლებიც შერჩეულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების (№ 05.14.147) "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების სახეობების სიის დამტკიცების შესახებ" პრიორიტეტული ხეების სიიდან

1. ჰიმალაიური კედარი (Cedrus deodara), 1 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე, ნიადაგის მიმართ უპრეტენზიოა, სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ, ხნოვანება 5-10 წელი

2. მინდვრის ნეკერჩხალი (Acer campestre), 1 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე, რომელიც მშრალ პირობებსა და ნიადაგის სიმწირეს კარგად ეგუება, იგი ქვედა სარტყლის ანუ დაბლობების ჯიშია, სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ, ხნოვანება 5-10 წელი

ასევე გასამწვანებელი ტერიტორია მთლიანად დაიფარება 28.60 მ ² კოინდარით (Arrhenatherum elatius). იგი მრავალწლოვანი ფაშარბუჩქოვანი მცენარეა, სწრაფად იზრდება, გავრცელებულია ყველგან. საქართველოში ითესება მინდვრისა და საკვებ თესლბრუნვებში, როგორც ბალახთნარევების ერთ-ერთი საუკეთესო კომპონენტი.

გამწვანების ფართობი შემოისაზღვრება ქვის ბორდიურით.

ზემოთ ხსენებული ხე-ნარგავები არ მიეკუთვნებიან წყალუხვნარგავებს და არ საჭიროებენ სარწყავი სისტემების დამონტაჟებას. მათი მოვლა შესაძლებელია წყლის პერიოდული მიწოდებით და ამიტომ თბილისის კლიმატისათვის მათი გამოყენება მიზანშეწონილია.

მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად.

გამწვანების სამუშაოებს შეასრულებს დამკვეთი,ლაშა მგალობლიშვილი პ.ნ. 01024036609და მისი დასრულებისა და შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ ნარგავების მოვლა-პატრონობას და ზედამხედველობას განახორციელებს მესაკუთრე. ნარგავებზე პასუხისმგებლობა ვრცელდება არანაკლებ 5(ხუთი) წლის ვადით.

სამუშაოთა გრაფიკი

სამუშაოების დასახელება	დ ღ ე ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრუნტის დამუშავება	—	—	—	—											
ხე-ნარგავების დარგვა					—	—	—	—							
ბალახის საფარის მოწყობა									—	—	—				
გამწვანების ფართობის შემოსაზღვრა ქვის ბორდიურით												—	—	—	
ტერიტორიის დასუფთავება															—

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ევროთრეიდი"	
პროექტი PROJECT	სასაწყობე შენობა ოფისით	
მისამართი ADRESS	წყალსადენის ქ (ს.კ. 01.11.04.028.080)	
	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	ირაკლი ქამუშაძე	
არქიტექტორი:		
კონსტრუქტორი:	გიორგი ცომაია	
შეამოწმა:		
საპროექტო კომპანია	შ.პ.ს. არქა	ქ. თბილისი კაკაბეთის ქ. 2ბ-4ა ტელ: 577 901110
არქიტექტურული პროექტი		
მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE

დასარგავი ხეების გეგმა

გასაშენებელი მცენარეები
1.ჰიმალაის კედარი-7ც
2. მინდვრის ცაცხვი 13ც
3.ჯოინდარი-381მ2
4.ჯოინდარი მწვანე ტერასებზე-32+63მ2

ჰიმალაის კედარი
(Cedrus deodara)

1 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე და ნიადაგის მიმართ უპრეტენზიოა. სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ, ხნოვანება 5-10 წელი.



მინდვრის ნეკერჩხალი
(Acer campestre)
2 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე და სიცივის ამტანი მცენარეა. სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ, ხნოვანება 5-10 წელი.





კოინდარის გაზონი
(Arrhenatherum elatius)

61.05 მ²



შ.პ.ს. „ჯანლიანგშენი"

პროექტის PROJECT

ზესაკომპლექსის პროექტი

მისამართი ADDRESS

შემსრულებელი:	ნინო ბერიძე	ხელმოწერა
შემოწმებულია:	ნინო ბერიძე	
შემოწმებულია:		

საპროექტო ორგანიზაცია

შ.პ.ს. „ჯანლიანგშენი"
ქ. თბილისი, ა. ჭავჭავაძის ქ. 32-ა
ტელ: 577 90 01 10

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE
ნახაზის DRAWING		

სტადია STAGE	ნახაზის INDEX	ფურც. PAGES

მინდვრის ნეკერჩხალი
(Acer campestre)
2 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე და სიცივის ამტანი მცენარეა.
სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ, ხნოვანება 5-10 წელი.



რენდერი

ჰიმალაის კედარი
(Cedrus deodara)

1 ძირი, სწრაფმზარდი, გვალვაგამძლე და ნიადაგის მიმართ უპრეტენზიოა.
სიმაღლე არანაკლებ 3.5 მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ, ხნოვანება 5-10 წელი.





კოინდარის გაზონი
(Arrhenatherum elatius)

61.05 მ²



გასაშენებელი მცენარეები
1.ჰიმალას კედარი-7ც
2. მინდვრის ცაცხვი 13ც
3.კოინდარი-381მ2
4.კოინდარი მწვანე ტერასებზე-32+63მ2

დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ევროთრეიდი"	
პროექტი PROJECT	სასაწყობე შენობა ოფისით	
მისამართი ADRESS	წყალსადენის ქ (ს.კ. 01.11.04.028.080)	
	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	ირაკლი ქამუშაძე	
არქიტექტორი:		
კონსტრუქტორი:	გიორგი ცომაია	
შეამოწმა:		

საპროექტო კომპანია
შ.პ.ს. არქა
ქ. თბილისი
კაკაბეთის ქ. 2ბ-4ა
ტელ: 577 901110

არქიტექტურული პროექტი

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE

ოფისის ტერასების გამწვანება(რენდერი)









დამკვეთი CLIENT	შ.პ.ს. „ევროთრეიდი"	
პროექტი PROJECT	სასაწყობე შენობა ოფისით	
მისამართი ADRESS	წყალსადენის ქ (ს.კ. 01.11.04.028.080)	
	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	ირაკლი ქამუშაძე	
არქიტექტორი:		
კონსტრუქტორი:	გიორგი ცომაია	
შეამოწმა:		

საპროექტო კომპანია

შ.პ.ს. ა რ ქ ა

ქ. თბილისი
კაკაბეთის ქ. 2ბ-4ა
ტელ: 577 901110

არქიტექტურული პროექტი

მასშტაბი SCALE		თარიღი DATE OF ISSUE



ქ. თბილისი წყალსადენის ქუჩა
ს.კ 01.11.04.028.080

პროექტის დაწყების თარიღი - მარტი 2021წ
პროექტის დასრულების თარიღი მაისი 2022წ

გასამწვანებელი ფართი 335.8 კვ.მ
მიწის ნაკვეთის ფათობი 3358 კვ.მ

დასარგავი ხეები:
13 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი
7 ძირი ჰიმალაის კედარი

მოვლა პატრონობის ხანგრძლივობა 3 წელი

მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი:

შ.პ.ს. „ევროთრეიდის" დირექტორი
ლაშა მგალობლიშვილი პ.ნ.01024039909

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203572327**
თარიღი: **22/12/2020**
პინი: **1166**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 14 დეკემბრის #60-01203491072 წერილი და AR1769834 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ირაკლი ქამუშაძის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ევროთრეიდის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, წყალსადენის ქუჩა ს.კ. #01.11.04.028.080) (ს-1; მცირე ნაწილზე რზ-2) III კლასის სამეურნეო და საწარმოო ობიექტის (საწყობი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი **გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული 4 ძირი ფოთლოვანი ხე (1 ძირი ხილ-კენკროვანის გარდა) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 20 ძირი მწვანე ნარგავი, კერძოდ: 7 ძირი ჰიმალაის კედარი (**Cedrus deodara) **და 13 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი (**Acer campestre) **სრულად ითვისებს კ3-0.1 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (335.8 კვ. მეტრი).** გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით, გაცნობებთ, რომ საინფორმაციო ბანერის განთავსებამდე, დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მასზე უნდა დაიტანოს გასაშენებელი მწვანე ნარგავების პარამეტრები (ხნოვანება, სიმაღლე, გარშემოწერილობა) გეგმაზე არსებული ინფორმაციის შესაბამისად.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

